საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ბ. ჯ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.04.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №049/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. დ.-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. დ.-ს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 26 აპრილს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ბ. ჯ. ადვოკატ, ზ. დ.-ს წინააღმდეგ.

1.2 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ განცხადებას, მტკიცებულების სახით ახლავს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 ოქტომბრის სხდომის ოქმი, სადაც ადვოკატი ზ. დ. მოწმის სახით იქნა დაკითხული ბ. ჯ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალის ფარგლებში.

1.3 საჩივრის ავტორი წარმოდგენილი საჩივრით ზ. დ.-ს მოქმედებებზე რეაგირებას და მისთვის საადვოკატო საქმიანობის შეჩერებას ითხოვს.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა, ზ. დ.-მ 2018 წლის 14 მაისს წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივარში მოყვანილი გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს. 2018 წლის 27 ივლისს, საპროცესო კოლეგიის გამართულ სხდომაზე დამატებითი განმარტება გააკეთა ზ. დ.-მ, მის წარმომადგნლებთან, ზ. ნ. და თ. მ. ერთად.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ბ. ჯ. პირველი შემხებლობა 2015 წელს ჰქონდა, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე მას და მის მეგობარს, ა. ა.-ს საადვოკატო მომსახურება გაუწია, როგორც გამოძიების, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესზე.

2.3 ზ. დ. წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ ადვოკატს 2017 წლის 2 აგვისტოს მობილურ ტელეფონზე დაურეკა ბ. ჯ.-ს მეგობარმა, ა. ა.-მ, რომელმაც ზ. დ.-ს შეატყობინა ბ. ჯ.-ს დაკავების თაობაზე და სთხოვა მისი დაცვა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2017 წლის 3 აგვისტოს 00:22 საათზე შეავსო ორდერი ბ. ჯ.-ს სახელზე და შემდეგ წავიდა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში, სადაც მოთავსებული იყო ბ. ჯ.. ბ. ჯ. გამომძიებლის მიერ დაკითხული იქნა ადვოკატის მისვლამდე, შესაბამისად ადვოკატს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია. ზ. დ. გაესაუბრა გამომძიებელსა და ასევე ბრალდებულს, რომელიც აღიარებდა დანაშაულს. შეთანხმების მიხედვით, შესაძლობლობის შემთხვევაში, ზ. დ.-ს უნდა დაეცვა ბ. ჯ.-ს ინტერესები საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის 3 და 4 აგვისტოს ზ. დ.-მ მოინახულა ბრალდებული წინასწარი დაკავების იზოლატორში. 4 აგვისტოს წინასწარი დაკავების იზოლატორში ყოფნის დროს, როდესაც ზ. დ.-ს თანდასწრებით გამომძიებელი რ. ქ. ბრალდებულს აცნობდა ბრალდების შესახებ დადგენილებას, მოხდა უსიამოვნო ინციდენტი, რომლის საფუძველზეც ზ. დ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2017 წლის 24 ოქტომბერს გამოტანილი განჩინების საფუძველზე დაკითხული იქნა მოწმის სახით.

2.5 ზ. დ.-ს წარმომადგენლის, თ. მ.-ს განმარტებით, ზ. დ. ბ. ჯ.-ს დაცვას ახორციელდებდა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის ფარგლებში გამოწერილი ორდერით. ხოლო სასამართლოში ზ. დ.-ს მოწმედ დაკითხვა მოხდა წინასწარი დაკავების იზოლატორში მომხდარ ინციდენტან დაკავშირებით.

2.6 ზ. დ.-ს წარმომადგენლის, ზ. ნ.-ს განმარტებით გაუგებარია თუ რომელ საქმეზე ედავება საჩივრის ავტორი ადვოკატს, ასევე გაუგებარია თავად საჩივრის შინაარსი და მისი ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობა, რაც საჩივარზე წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

2.7 ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ მომხდარი ინციდენტის შემდეგ, იმავე დღეს 2018 წლის 4 აგვისტოს, გაიმართა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლო პროცესი. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან მასა და ბ. ჯ.-ს შორის ვერ მოხდა აზრთა თანხვედრა, როგორც მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების, ასევე წინასწარი დაკავების იზოლატორში ყოფნის დროს მომხდარი ინციდენტის მისთვის განმარტების ნაწილში, სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტის პერიოდში ადვოკატმა წარადგინა შუამდგომლობა თვითაცილების თაობაზე, რასაც მხარი დაუჭირა ბრალდებულმა ბ. ჯ..

2.8 ადვოკატმა, ზ. დ.-მ განმარტა, რომ წინასწარი დაკავების იზოლატორში მომხდარი ფაქტის შემდეგ დაუკავშირდნენ პროკურატურიდან და აცნობეს, მოწმის სახით დაკითხვის შესახებ. აღნიშნული ცნობის მიღების შემდეგ, ადვოკატმა განცხადებით მიმართა საგამოძიებო ორგანოს და განუმარტა, რომ ვალდებული არ იყო ჩვენების მიცემაზე. რის საფუძველზეც, პროკურორმა იშუამდგომლა

სასამართლოს წინაშე, მოწმის სახით ზ. დ.-ს დაკითხვის თაობაზე. ზ. დ.-მ ასევე განცხადებით მიმართა პირველი ინსტანციის სასამართლოს, სადაც განმარტება გააკეთა, რომ მოწმის სახით არ უნდა მომხდარიყო მისი დაკითხვა. მალევე, პროკურორმა სასამართლოდან გამოიხმო შუამდგომლობა, თუმცა დაახლოებით 2-3 თვის შემდეგ, პროკურორმა ზ. დ.-ს მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე კვლავ მიმართა სასამართლოს. ადვოკატის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ შუამდგომლობა მოწმის დაკითხვის შესახებ არ დააკმაყოფილა, რაც გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ამ უკანასკნელმა კი ზ. დ. დაავალდებულა ჩვენების მიცემაზე.

2.9 ადვოკატმა, ზ. დ.-მ წარმოადგინა მტკიცებულებები და მიუთითა, რომ ქუთაისის სასამართლოს მოსამართლე, თ. დ.-ს თავჯდომარეობით, 2017 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებული სასამართლო სხდომის ოქმის შინაარსით და 2017 წლის 4 აგვისტოს სასამართლო სხდომის ამსახველი დისკის შინაარსის გვათვალისწინებით ნათლად ჩანს, რომ მისი მხრიდან ბრალდებულ ბ. ჯ.-ს დაცვის განხორციელებისას ყველა კანონიერი საშუალება იქნა გამოყენებული, შესაბამისად საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ზ. დ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ბ. ჯ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2018 წლის 26 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. დ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ზ. დ.-მ, ბ. ჯ.-ს საქმეზე მოწმის სახით დაკითხვისას გაამჟღავნა ბ. ჯ.-ს ინტერესების დაცვის დროს მიღებული ინფორმაცია.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ზ. დ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად“.
ადვოკატთა შესახებ კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთანავე, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი 1-ლი ნაწილი: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

5.3 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვა. კონფიდენციალობის ვალდებულება ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვას გულისხმობს. ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღება ხდება კლიენთან ურთიერთობისას, რა დროსაც კლიენტი ადვოკატს გაანდობს მისი საქმის შინაარს. ადვოკატის მიერ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება იწვევს კლიენტის ნდობის დაკარგვას. ამასთან, აღნიშნული ვალდებულების დარღვევამ, ადვოკატის მიმართ შესაძლოა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გამოიწვიოს.

5.4 საჩივრის ავტორის პრეტენზია მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებისა და საჩივრის ერთობლივი განხილვით დგინდება, საიდანაც ირკვევა, რომ ზ. დ. მოწმის სახით იქნა დაკითხული ბ. ჯ.-ს საქმეზე. საჩივრის ავტორი ადვოკატის ამ მოქმედებას უღირს და ადვოკატისათვის შეუფერებელ მოქმედებად მიიჩნევს.

5.5 ადვოკატის განმარტებით, მოწმის სახით დაკითხვა არ უკავშირდებოდა ბ. ჯ.-ს მიმართ აღძრულ იმ სისხლის სამართლის საქმეს, სადაც ზ. დ.-ს, გამოწერილი ორდერის ფარგლებში უნდა დაეცვა ბ. ჯ.-ს ინტერესები.

5.6 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და იმსჯელა ადვოკატის მიერ კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევის საშიშროებაზე. საქმეში წარმოდგენილია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, 2017 წლის 4 აგვისტოს სასამართლო სხდომის ოქმი დისკთან ერთად, საიდანაც დგინდება, რომ სასამართლო პროცესზე განიხილებოდა ბრალდებულ ბ. ჯ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის და ასევე წინასასამართლო სხდომის განსაზღვრის საკითხი, რა დროსაც სასამართლო სხდომის

დაწყებიდან 50 წამის შემდეგ, მოსამართლის მიერ პროკურორის, ადვოკატის, თარჯიმნის აცილების უფლების და აცილების საფუძვლების განმარტების შემდეგ ზ. დ.-მ დააყენა შუამდგომლობა თვითაცილების თაობაზე, მასა და მისი დაცვის ქვეშ მყოფს შორის არსებული წინააღმდეგობიდან გამომდინარე. ადვოკატის თვითაცილებას, ბ. ჯ. დაეთანხმა.

5.7 საქმეში ასევე წარმოდგენილია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თ. დ.-ს, 2017 წლის 19 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორის ნ. კ.-ს შუამდგომლობა გამოძიების დროს ზ. დ.-ს მაგისტრ მოსამართლესთან მოწმედ დაკითხვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. საქმეში წარმოდგენილი ადვოკატ ზ. დ.-ს განცახადების მიხედვით, დგინდება, რომ 2017 წლის 24 ოქტომბერს ადვოკატმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, სადაც ზ. დ. აღნიშნავს შემდეგს: „არ ვარ ვალდებული და უფრო მეტიც არ მაქვს უფლება მივცე ჩვენება იმ გარემოებათა შესახებ რაც ცნობილი გახდა პროფესიული მდგომარეობის დროს“. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით, „დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორის - ნ. კ.-ს საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 ოქტომბრის განჩინება; დადგინდა, რომ ზ. დ. დაიკითხოს მოწმედ სისხლის სამართლის N საქმეზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მაგისტრი მოსამართლის წინაშე“. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 ოქტომბრის სხდომის ოქმზე, საქმეზე N, საიდანაც დგინდება, რომ ზ. დ. მოწმის სახით იქნა დაკითხული. აღსანიშნავია, რომ სხდომაზე განიხილებოდა 2017 წლის 4 აგვისტოს დროებით იზოლატორში მომხდარი ფაქტი, რომლის დროსაც მოწმის სახით დაკითხულმა ზ. დ.-მ დაადასტურა, ბ. ჯ. და გამომძიებელს შორის დაპირისპირების ფაქტი.

5.8 ზ. დ.-ს განმარტებით მას ურთიერთობა ჰქონდა საჩივრის ავტორთან 3 აგვისტოს, როდესაც ბ. ჯ. გამომძიებლის მიერ დაკითხული იქნა ადვოკატის მისვლამდე და 4 აგვისტოს, როდესაც გამომძიებლის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილების გაცნობისას მოხდა ფიზიკური და სიტყვიერი შელაპარაკება. საჩივრის ავტორი წარმოდგენილ საჩივარში არ მიუთითებს ადვოკატთან ურთიერთობის დეტალებს და მის მიერ ადვოკატისთვის, რაიმე სახის კონფიდენცილური ინფორმაციის გაცნობას. ამასთან, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ზ. დ.-მ ბ. ჯ.-ს ინტერესების დაცვა სასამართლო სხდომაზე ვერ შეძლო.

5.9 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ზ. დ.-მ ორდერი გამოწერა ბ. ჯ.-ს სახელზე, მათ შორის არსებული ურთიერთობის ხანმოკლე პერიოდისა და აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ადვოკატს კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების საშუალება არ ჰქონდა. ამასთან, საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომლის მიხედვით ადვოკატს საჩივრის ავტორის დაცვა სისხლის სამართლის კოდექსით წარდგენილი ბრალის ფარგლებში უნდა განეხორციელებინა. ხოლო ზ. დ.-ს მოწმის სახით დაკითხვა მოხდა სულ სხვა საქმეზე, კერძოდ გამომძიებელსა და ბ. ჯ.-ს შორის არსებული ინციდენტის ფარგლებში, რისი თვითმხილველი ზ. დ. იყო. საპროცეო კოლეგია ასევე გაეცნო საქმეში წარმოდგენილ სხდომის ოქმს, სადაც ზ. დ. საუბრობს მხოლოდ 2017 წლის 4 აგვისტოს მომხდარ ინციდენტზე და მისი საუბარი არ ცდება ამ თემას. შესაბამისად, ადვოკატ ზ. დ.-ს მიერ კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევის ფაქტი არ იკვეთება.

5.10 მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დგინდება ადვოკატ, ზ. დ.-ს მიერ ბ. ჯ. მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტი.

5.11 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას, შესაბამისად ადვოკატ ზ. დ.-ს მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით; ‚ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №049/18 ადვოკატ ზ. დ.-ს მიმართ /სიითი № /, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე /

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/